

ქართული მასალა თურქული ფონოტაქტიკის ჭრილში GEORGIAN MATERIAL IN THE CONTEXT OF TURKISH PHONOTACTICS

მარიკა ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Marika Jikia

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

According to the phonotactic strategy of the Turkish languages, in the last syllable of a word, the wide labial vowel /o/ is replaced by the narrow labial vowel /u/.

The Georgian name of the ridge Tortomi, located in the territory of Turkey today, was pronounced as Tortum by the Turks. Similarly, the Çoroği river was named Çoruh in Turkish. The town now known as Batumi, which is still Batomi in the Gurian dialect, was likely established with Turkish influence, leading to its Turkish-style name – Batumi.

Pronouncing two or more consonants at the beginning of a syllable poses an insurmountable articulatory challenge for Turkish speakers.

The words of Turkish origin do not typically contain the syllable CCV(C). Borrowed words with two or more consonants at the beginning of the syllable undergo phonological processing when they are “turkified,” involving a process called prothesis (where a vowel is added before two consonants at the beginning of a syllable) and epenthesis (where two consonants are split at the beginning of a syllable and a vowel is placed in the middle). This process helps overcome the clustering of consonants at the beginning of the syllable. Georgian toponymic data is utilized to demonstrate the functioning of prothesis.

Speri is a region in historical southwestern Georgia, now known as İspir, a municipality in Turkey. Stepançminda appears in a prothetic form in a fiscal document drafted in 1595, as recorded in ‘The Great Book of the Gurjistan Vilayet’: *هـنـمـزـنـاـپـتـسـا* /istefānzmda/. The Georgian toponym *şkarebi* has been rendered as *بر الكس* /iskarb/ by the Ottoman Turk defterdar.

The same document indicates the national toponyms that feature an epenthetic vowel: *blorja* – /bulurja/, *dgvari* – /dugar/, *zresk'i* – /zirsk/, *tmogvi* – /tumk/, *pruti* – /purud/, *ğjrtila* – /yirdla/, *čre* – /čire/, *črioħi* – /čirioħ/, *čqorja* – /čuqurja/, *čqruti* – /čuqurt/, etc.

In specific cases of prothesis, a vowel is added in front of foreign words starting with /r/ (note that words of Turkish origin do not start with /r/): Turk. Rum – Urum, Rus – Urus, Ital. roba – Turk. urba, Arab. rub’ رُبْ – Turk. urup, Pers. ruspi – Turk. orospu, etc.

When Rustaveli’s ‘The Man in the Panther Skin’ was translated into Turkish, the names of the characters – Rostevan and Pridon – underwent adaptation to the phonotactic features of Turkish: Eretevan (i.e., a vowel appeared before /r/), and Feridun - where the /e/ vowel was integrated into the consonants of the Georgian /pri-/ syllable.

The manifestation of the prothetic phenomenon is evident in the name of our capital in Turkish: not Tbilisi, but Tiflis. The Turk faced difficulty in pronouncing the /tb/ consonants of the /tbi-/ syllable, so he split it by inserting the vowel /i/ to overcome this challenge and pronounce it as Tiflis. The influence of Turkish on Georgians living in Turkey is so strong that the pronunciation /Tiblizi/ has been observed in their speech as well.

საკვანძო სიტყვები: თურქული ენის ფონოტაქტიკური წესები, პროთეზა, ეპენტეზა, ქართული ონომასტიკური ერთეულები.

Keywords: Phonotactic rules of the Turkish language, prothesis, epenthesis, Georgian onomastic units.

თურქული ენების ფონოტაქტიკურ პროცესებზე დაკვირვებისას რამდენიმე სულა აღმოჩნდა ბმაში ქართულ მასალასთან. ამ თვალსაზრისით ზოგიერთი მომენტი ქართველ თურქოლოგებს – ცისანა აბულაძეს, ნინო ბალათურიას, მურმან ბელთაძეს, ელისაბედ გუდიაშვილს, ნუნუ გურგენიძეს, გაიანე თუმშალიშვილს, ლუიზა რუხაძეს, გიორგი შაყულაშვილს, ვენერა ჯანგიძეს, სერგი ჯიქიას – არა მხოლოდ შენიშნული, არამედ ბეჯითად აქვთ კვალიფიცირებული. მე შევეცდები ფონოლოგიური წესების რაკურსში შევხო წინამორბედთა კვლევის შედეგებს და ერთობლიობაში წარმოვადგინო თურქული ენების ფონოტაქტიკური სტრატეგიის ნაჭდევეები ქართულ ენობრივ სივრცეში.

(1) სიტყვის ბოლო მარცვალში ფართო ბაგისმიერ /o/ ხმოვანს ვიწრო ბაგისმიერი /u/ ხმოვანი ენაცვლება. უძველეს თურქულ დამწერლობას ორჰუნ-ენისეის დამწერლობად მოვიხსენიებთ. თურქები კი Orhun-ს წერენ და ასევე წარმოთქვამენ. დღეს თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქედის ქართული დასახელება **თორთომი** თურქმა **Tortum**-ად გარდათქვა; **ჭოროხი** თურქულად **Çoruh**-ად დამკვიდრდა. სავარაუდოდ, **ბათომი** იყო (გურულ დიალექტში დღესაც ბათომია), **ბათუმი** კი თურქული ყაიდის გაზიარებითაა მიღებული.

(2) ანატოლიური თურქულის დიალექტებში სიტყვის ბოლო მარცვლისეულ ვიწრო არაბაგისმიერ ხმოვანსაც – /i, i/ ვიწრო ბაგისმიერი /u/ ხმოვანი ენაცვლება: **ışık – ışuk** „შუქი“; ამ უძველესი თურქული ნასესხობის ქართულში დამკვიდრებული ფორმის ისტორია ასეთია: ქართველი

ადვილად შეეღია თავკიდურ პოზიციაში მისთვის უცხო /t/ ბგერას, ხოლო სიტყვა სალიტერატუროდან კი არა, დიალექტიდან შეითვისა ლაბიალური ჟღერადობით, ის კი არადა, საკუთარ სახელადაც კი აქცია. აი რას წერს ცისანა აბულაძე ამ მოვლენაზე: „ქართული ვოკალიზმისათვის უცხო /t/ ხმოვანი ძირითადად გადმოცემულია /d/ ხმოვნით, ხოლო სიტყვის ბოლოს როგორც ღია, ასევე დახურულ მარცვალში იგი „უ“ ასოთია გამოხატული: – არშუნ < аршын, დემურ < дѣмир, უზანგუ – үзәнки. თანამედროვე სალიტერატურო i,ɪ-ს ადგილზე ბაგისმიერი ხმოვნების u, ü-ს არსებობა თურქული ენის ჰარმონიამდელი პერიოდის გადმონაშთი ჩანს. გარდა იმისა, რომ ეს მდგომარეობა დასტურდება ძველი თურქულის ტექსტებში, თურქული ენის დიალექტებშიც (ტრაპიზონი, რიზე, ორდუ, კირესუნტი, კასტამუნია) საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა: ჩამაშურ чамашыр, ღადუნ гадун და ა.შ. (აბულაძე 1960: 21). ოსმალური ენის ისტორიაში აღსანიშნავია ხანგრძლივი პერიოდი, რომლის განმავლობაში მთელ რიგ სიტყვებსა და აფიქსებში ბოლოკიდურ როგორც ღია, ასევე დახურულ მარცვალში ძირითადად იხმარებოდა ვიწრო ბაგისმიერი /u,ü/ ხმოვნები, ნაცვლად არაბაგისმიერი /i,ɪ/-სა. ზოგი მკვლევარი ამას მიიჩნევს ძველი სალიტერატურო თურქულის წარმოთქმის დამახასიათებელ ნიშნად (Севортян 1964: 83). ბოლოკიდურ მარცვალში ხმოვნის ლაბიალობას არა აქვს დისტინქციური ფუნქცია, ამგვარი ფორმები ხშირია დიალექტებში. თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში სალიტერატურო თურქული **altın**-ის გვერდით მოცემულია **altun**-იც „ოქრო“, რომელიც ქართულშიც დიალექტური ფორმით დასტურდება: უხალთუნი; შდრ. აგრეთვე გვარის – ალთუნაშვილის – ფუძე.

(3) კავკასიის თურქული ენების კონსონანტიზმის თავისებურებათა ჩამონათვალში – მჟღერი/ყრუანლაუტი, სპირანტიზაცია, /k/–ს სონორიზაცია, წინარიგისმიერ ხმოვნებ–თან /g/→/ɟ/ და /k/→/ç/, ბოლოკიდური /n/-სა და /r/-ს არამდგრადობა, /j~z~ʒ~ʒ/-ს მონაცვლეობა, дзекание, цокание და სხვ. (Гаджиева 1979: 34,75) – არ არის ე.წ. декание – /d/-სა და /j/-ის მონაცვლეობა: ძვ. თურქ. **kadın** „ქალი“ ~ **kayın** (Clauson 1972: 602a), რომელიც თანამედროვე თურქულისეული თხზული სიტყვების – **kaynana**, **kayınvalide** „სიდედრი; დედამთილი“ – პირველი კომპონენტია. იმ ფაქტს, რომ აქ ნამდვილად /d/-სა და /j/-ის მონაცვლე **kadın** / **kayın** სიტყვაა, ადასტურებს სინონიმი **hanımanne** „დედამთილი; სიდედრი“, რომლის სიტყვასიტყვითი თარგმანია „ქალი (ქალბატონი) დედა“. ეგვევ მონაცვლეობაა **ayak/adak** „ფეხი; ზედა კიდური“ სიტყვის შემთხვევაში. შდრ.: აგრეთვე ძვ. თურქ. /bedük/ – დიალექტებისეული /bëjük/ – ახ.თურქ. /büyük/ „დიდი“.

ამ „წიაღისეული“, შედარებით იშვიათი მოვლენის /d/-იან მანიფესტანტს გადავაწყდით ქართველი კაცის სახელად – **ბედუკა** [ჯიმიტელი; იგი თავისი სახლით ალექსანდრე მეფემ შესწირა სვეტი-ცხოველს 1601 წელს] (პალ 1991: 498). იგივე სიტყვა „ჩაქვითვირებული“ აღმოჩნდა ქართული გვარის – ბედუკაძის – ფუძეში.

(4) თურქული მოდგმის ადამიანთათვის გადაულახავი არტიკულაციური მომენტია მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნის წარმოთქმა. ოდენ თურქული წარმომავლობის სიტყვები

მარცვალს CCV(C) შემადგენლობით არ შეიცავენ. არაეროვნული სიტყვები მარცვლის დასაწყისში ორი ან მეტი თანხმოვნით (რაც უპირატესად ანლაუტს ემთხვევა) „გათურქულებისას“ განიცდიან ფონოლოგიურ დამუშავებას. თურქთათვის უცხოენოვანი ლექსიკური ერთეულების სიზუსტით გადმოცემისა თუ გათავისების პროცესი განაპირობებს მთელ რიგ ლინგვისტურ სვლებს. კერძოდ კი თანხმოვანთკომპლექსებით (ორი ან მეტი თანხმოვნით) დაწყებული ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თურქულ ენებში ორი გზით ხორციელდება – პროთეზითა და ეპენტეზით. პროთეზის დროს მარცვლის დასაწყისში ორთანხმოვნიან სიტყვას წინ დაემატება ხმოვანი და ახალ მარცვალს წარმოქმნის კომპლექსის პირველ თანხმოვანთან. მაგ.: რუს. *стан* – აზერბ. *istakan*; ფრანგ. *station* – თურქ. *istasyon*; ინგლ. *stop* – თურქ. *istop* „სდექ“; იტალ. *spirito* – თურქ. *ispirt* „სპირტი“. ეთნონიმები და გეოგრაფიული სახელები: *İskitler* „სკვითები“, *İslav* „სლავი“, *İskoç* „შოტლანდიელი“, *İsparta* „სპარტა“, *İsveç* „შვედეთი“, *İsviçre* „შვეიცარია“ და სხვ.

ეპენტეზის შემთხვევაში მარცვლის დასაწყისში ორ თანხმოვანს შორის ჯდება ვიწრო ხმოვანი და იქმნება მარცვალი, რითაც თავიდან მაგალითები მოგვყავს ევროპულ ენათაგან ნასესხობების (უპირატესად – ონიმების) ადაპტაციის კვალობაზე, რათა შევადაროთ მაგალითებს ქართული სინამდვილიდან.

სპერი – მხარე ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ამჟამად თურქეთის პროვინცია **İspir ისპირი** – თურქეთის ერთ-ერთი რაიონი ერზურუმის ვილაიეთში. ისტორიულად – მესხეთის ნაწილი, ბაგრატიონთა საგვარეულოს სამშობლო. სპერი მოიცავდა მდინარეების – ჭოროხის, არაქსისა და მტკვრის – სათავეებს; ჩრდილოეთიდან პონტოს მთებით არის გარშემორტყმული.

1595 წელს შედგენილ ფისკალურ დოკუმენტში, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში შეგვხვდა *İstefanzmnda* استافانزمندا გამომცემელი ს. ჯიქია წერს: /სტ /თანხმოვნებით დაწყებულ სიტყვას თურქულ წარმოთქმაში ჩვეულებრივად პრო-თეტული ხმოვანი უჩნდება, რაც არაბიკისეული ელიფით არის გადმოცემული (ჯიქია 1958: 449). **სტეფანწმინდა** ფოცხოვის ერთ-ერთი დიდი – 25-კომლიანი – სოფელთაგანია. 1878 წელს კი მასში უკვე მხოლოდ 8 კომლი ირიცხება. იგი ღვიმისა და ჭილვანის მიმდებარე სოფელია.

სკარები – ეს ქართული ტოპონიმი ოსმალთა დევთერდარის მიერ ანალოგიურად იქნა გადმოტანილი: *İskarab* بركاس (ჯიქია 1958: 539).

შევჩერდებით პროთეზის ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ვიწრო ხმოვანი წინ დაემატება ძირს, ახალი მარცვალი წარმოიქმნება, თუმცა სიტყვა იწყება არა ორი თანხმოვნით, არამედ – ერთით, კერძოდ კი /r/ თანხმოვნით (საკუთრივ თურქული სიტყვა /r/-თი არ იწყება). რამდენიმე მაგალითს დავასახელებთ: მაგ., იტალ. *roba* – თურქ. *uroba* „სამოსი, ტანსაცმელი, კაბა“. არაბ. *rubʿ* – رُبْع – თურქ. *urup* „(ერთი) მეოთხედი“. *Rum* – *Urum*. ბერძენი თურქულად არის *Yunan*; ხოლო მუსლიმურ ქვეყანაში მცხოვრებ ბერძენს *Rum*-ს უწოდებენ. აქედან გამომდინარე – თანამედროვე ანატოლიელ ბერძენსაც ასე მოიხსენიებენ.

ბერძნები აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო მუსლიმურ სამყაროში ამ იმპერიას Rum diyarı „რუმების ქვეყანა“ ერქვა. თურქულენოვან ქრისტიან ბერძნებს ეწოდათ Urumlar – ურუმები. ისინი დღესდღეობით ყირიმში, მარიუპოლის რეგიონში სახლობენ.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ ურუმებს: ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის პასკევიჩის მიერ 1830 წელს აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა ერზრუმის ვილაიეთში მცხოვრებ გათურქებულ ბერძნებს წალკის რაიონში დასახლების უფლება მისცა. მათ წალკელი ურუმების სახელით იცნობენ.

დიალექტურ მეტყველებაში რუსი **Rus** რეგულარულად **Urus**-ად გამოითქმებოდა. სპ. **uspi** – თურქ. **orospu** „მეძავი“. ეს სიტყვა ქართულში როსკიპის ფორმით დამკვიდრებული უძველესი სპარსული ნასესხობაა.

ჩემი კარის მეზობელთან, გორელ ქალბატონ ნათელა კობერიძესთან საუბარში – არჟანოი პურს ვყიდულობდიო – დავაფიქსირე ანალოგიური ბიოგრაფიის სიტყვა: რუს. *рожь* „ჭვავი“ > *ржаной* „ჭვავისა“; რადგან სიტყვა **/r/-**თი იწყება, დამკვიდრების რომელიღაც ეტაპზე თურქული არტიკულაციის შესაბამისად წინ ხმოვანი დაერთო და მივიღეთ **არჟანოი**. ბაქოში ხანგრძლივად მცხოვრები რუსების მეტყველებას *островная речь*-ს უწოდებენ. ამ რუსების ლექსიკონში ჭვავის პურს ჰქვია *аржаной хлеб*.

1991 წელს ბილალ დინდარისა და ზეინელაზი დინ მაკასის თურქულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ სამსუნში იქნა გამოცემული. ბილალ დინდარი წარმოშობით ქართველია. პერსონაჟთა სახელების თურქულად გადმოცემისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ასეთმა ფაქტმა: თავის – ამბავი როსტევან არაბთა მეფისა – სათაურში (ტექსტშიც და სარჩევშიც) და იქვე მიჯრით ტექსტში – იყო არაბეთს როსტევან... – თურქულ თარგმანში წერია: **Erestevan** (ანუ **/r/-**თი დაწყებული სახელის წინ გაჩნდა ხმოვანი, ოღონდ ამ ჯერზე – ფართო); ასევე მე-12 და მე-13 გვერდზეც... შემდეგ თავებში კი როსტევანი *şah* ან *sultan* სიტყვებით და სახელით მოიხსენიება, ოღონდ პროთეტული ხმოვნის გარეშე – Restevan-ით (Rustaveli 1991: 12,13). ის ოთხგზის დადასტურებული ფორმა პროთეზული ფაქტია.

ჩვენი დედაქალაქის სახელი თურქულად – **Tiflis** – სწორედ პროთეზული ფაქტის მანიფესტაციაა: თურქმა ვერ წარმოთქვა **/თბი/-** მარცვლისეული **/tb/** კომპლექსი, განახშო იგი და მხოლოდ ვიწრო **/i/** ხმოვნის ჩასმის შემდეგ „გაიმართა წელში“. ჩვენებურებზე ისეთი ძლიერია თურქულის გავლენა, რომ მათ მეტყველებაშიც **თიბლიზი** დადასტურდა (ფუტკარაძე 1993: 24).

საკვლევაია, ქართველთა დედაქალაქის სახელი რატომ მაინცდამაინც თურქული არტიკულაციით შევიდა ისეთ ენაში, როგორიც, მაგ., რუსულია, რომელშიც ხშირია მარცვლის თავში სამ- და ოთხკომპონენტური თანხმოვანთკომპლექსების შემცველი ლექსიკური ერთეულები.

ამავე რიგის მოვლენაა ცხუმიდან მომდინარე სოხუმის დაწერილობა და წარმოთქმა: **/ც/** აფრიკატი თურქულში არ არის. თურქი მას ამარტივებს და ამ რთული ბგერის მეორე კომპონენტს – **/s/-**ს – იყენებს: აქ კი ორ თანხმოვანს შორის ეპენთეტურ ხმოვანს სვამს: **ცხუმი** > **/sxum/** > **/suxum/**.

(5) თანხმომავანთკოპლექსებით დაწყებული სიტყვების ადაპტაცია ასეც ხორციელდება: ორი თანხმომავანი განიხმევა და შუაში ჯდება ვიწრო (დაბალი აწეულობის) ხმოვანი. ამ მოვლენას ეპენტეზა ეწოდება. ქართული ტოპონიმების ეპენტეტური ტრანსლიტერაციები წარმოვაჩინეთ 2022 წლის დეკემბერში ახალციხეში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიემდგვნა ონომასტიკის თანამედროვე პრობლემებს. ეპენტეზას დაქვემდებარებული ქართული ტოპონიმების დაწერილობა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით აღვწერეთ.

ეპენტეტური ხმოვნით გაფორმებული ეროვნული ტოპონიმებია: ბლორმა – bulurza, დგვარი – dugar; ზრესკი – zirsk, თმოგვი – tumk, წრე – zire, წრიოხი – ziriox, წყორმა – zuyurza, წყრუთი – zuyurt და სხვ. დღესდღეობით თურქული ენის ფონოტაქტიკური სტრატეგიის დანაშრევი რამდენიმე ქართული ონიმის სახით ფუნქციობს სახელდებით სივრცეში.

დამოწმებული ლიტერატურა და წყაროები

აბულაძე 1960: აბულაძე ც., სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის თურქული შესატყვისების შესახებ. კრებ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II. თბილისი, 1960.

პალ 1991: პირთა ანოტირებული ლექსიკონი XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა. თბილისი, 1991.

ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი. ბათუმი, 1993.

ჯიქია 1958: ჯიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი III, გამოკვლევა, თბილისი, 1958.

Clauson 1972: Sir Gerard Clauson. An Etimological Dictionery of Pre-Thiteenth-Century Turkish. Oxford, 1972.

Rustaveli 1991: Sota Rustaveli, Kaplan postlu şövalye. Çevirenler Prof. Dr. Bilal Dindar, Yrd.Doç.Dr.Zeynelabidin Makas, Eser Matbaası. Samsun, 1991.

Гаджиева 1979: Гаджиева Н.З., Тюркоязычные ареалы Кавказа. Москва, 1979.

Севортян 1964: Севортян Э. В., Примечания к «Турецкому языку» Н.К. Дмитриева. Москва, 1964.